თებერვლის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ პატარაძე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რეგიონებს ესტუმრა

31 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ პატარაძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში. საქართველოს ელჩს რეგიონში ვიზიტისას ახლდნენ გენერალური კონსული ქ. განჯაში მამუკა ბალავაძე და საელჩოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ოფიციალური შეხვედრები სამივე რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებთან. მხარეებმა მომოიხილეს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს ელჩმა და თანხმლებმა პირებმა მოინახულეს ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლები სამივე რაიონში, ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული შერეული საჯარო სკოლები, საბავშვო ბაღები და გაეცნენ სასწავლო პროცესს.

რეგიონში ყოფნისას ელჩი და თანმხლები პირები ეწვივნენ მოქმედ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, გამართეს შეხვედრები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმთავართან, მეუფე დიმიტრისთან, კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვართან, მამა პეტრესთან, ადგილობრივ მრევლსა და დიასპორის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის მსვლელობისას საელჩომ განახორციელა ჰუმანიტარული აქცია - ქართულ საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს საჩუქრად გადაეცათ საკანცელარიო ნივთები, სპორტული ინვენტარი და საბავშვო სათამაშოები, ხოლო მოსახლეობას პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტები და ტანსაცმელი.

ქართული ღვინის საღამო მაინის ფრანკფურტში

2 თებერვალს, ქ. მაინის ფრანკფურტში, მაინის ფრანკფურტის არქეოლოგიური მუზეუმის ორგანიზებითა და საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით „ქართული ღვინის საღამო“ გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში მომხსენებლებმა, ღვინის იმპორტიორმა პაატა ბოლოთაშვილმა და საქართველოში ღვინის მწარმოებელმა ნიკა ბახიამ ისაუბრეს ქართული ღვინის დამზადების ტრადიციებზე, ისტორიასა და სამომავლო გეგმებზე.

ღონისძიებას დაესწრო ასორმოცდაათამდე ადამიანი, მათ შორის ღვინის სპეციალისტები, რომელთაც საშუალება ჰქონდა დაეჭაშნიკებინათ 10 სახეობის ქართული ღვინო და დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები.

თებერვლის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული ფილმის -„გაღმა ნაპირი“ ჩვენება სტამბოლში

2 თებერვალს, ქ. სტამბოლში, შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ქართველი რეჟისორის, გიორგი ოვაშვილის ფილმის - „გაღმა ნაპირი“ ჩვენება, რომლის მთავარი გმირია, აფხაზეთიდან დევნილი, 12 წლის, თედო.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. სტამბოლში მოქმედი სხვა დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ასევე იქ მცხოვრები ადგილობრივი და ემიგრანტი ქართველები.

პროექტი „ქართული საგანძური კუნძულ მალტაზე

2-7 თებერვალს, მალტის რესპუბლიკაში, ,,ქართული კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით განხორციელდა პროექტი „ქართული საგანძური კუნძულ მალტაზე’’. პროექტის მხარდამჭერი იყო მალტის ტურიზმის ადმინისტრაცია. პროექტის ფარგლებში მოეწყო ქართველი ხელოვანების ხელნაკეთი ნივთების, ღვინის და ქართული პროდუქციის გამოფენა - გაყიდვა.
აღსანიშნავია, რომ მალტაზე ,,ქართული კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით, პირველად მოხდა ოფიციალურ დონეზე ქართული ღვინის გაცნობა-პრეზენტაცია.

პროექტის ფარგლებში ქართული დელეგაციის წევრები შეხვდნენ მალტის სამთავრობო და ბიზნეს სექტორს, მალტის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელს.
გაიმართა შეხვედრა ქართველ ემიგრანტებთან და დაიგეგმა ემიგრანტი ბავშვებისთვის სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი-კონკურსი „ოქროს მუზა’’. მოხდა მომავალი კონკურსანტების გაცნობა. ემიგრანტი ბავშვების სიმღერის საერთაშორისო კონკურსი „ოქროს მუზა’’ გაიმართება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

პოეზიის საღამო ათენში

3 თებერვალს, ქ. ათენში, დიასპორული ორგანიზაციის - „ათენის ქართული სახლის“ მხარდაჭერით, ემიგრაციაში მოღვაწე ახალგაზრდა პოეტის გიორგი კუბლაშვილის პოეზიის საღამო გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ემიგრანტი პოეტი ქალბატონები, „ქართული სახლის“ წევრები, საკვირაო სკოლის პედაგოგები და პოეზიით დაინტერესებული პირები. გიორგი კუბლაშვილმა ისაუბრა მის განვლილ ცხოვრებაზე, წაიკითხა ლექსები; ასევე, პოეტის ლექსები წაიკითხეს მოწვეულმა სტუმრებმა.

ანკარაში პირველად აღევლინა ქართული წირვა

3 თებერვალს, ქ. ანკარაში, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საელჩოსა და ანკარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ერთობლივი ძალისხმევით, წმ. ტერეზას სახელობის ტაძარში მამა მიქაელმა (ზრეგვაძე) პირველად აღავლინა ქართული წირვა-ლოცვა.

წირვის დასრულების შემდეგ თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ მრევლს სიტყვით მიმართა და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საელჩოსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობას.

სიტყვით გამოსვლისას ელჩმა აღნიშნა, რომ საქართველოს საელჩო როგორც ყოველთვის, მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს მოქალაქეებს მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის საქმეში.

ისრაელში ესთერ დანიელი მოდის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

3 თებერვალს, ისრაელში, ქ. იაფოში, სამხატვრო გალერეა „Unity Art House"-ში გაიმართა საქართველოდან წინა საუკუნის 80-იან წლებში წასული ხელოვანის, ესთერ დანიელი მოდის (ეთერ დანიელაშვილი) კერამიკულ ნამუშევართა გამოფენა. იგი არის საქართველოსა და ისრაელში კარგად ცნობილი რეჟისორის მოშე დანიელის (მოსე დანიელაშვილი) შვილი. სპეციალობით იგი მუსიკოსია. მხატვრობასა და კერამიკას ისრაელში ეზიარა და ხშირად მონაწილეობს როგორც ისრაელის, ისე საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებსა და ფესტივალებში. მისი ნამუშევრები წარმოდგენილია ისრაელის გალერეებში, როგორებიცაა „სინემატიკა", „ხელოვნების სახლი" და „კულტურის ცენტრი" იერუსალიმში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ისრაელელი და საქართველოდან ისრაელში სხვადასხვა დროს ამოსული ქართველი ებრაელი პროფესიონალი მხატვრები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ესთერ დანიელს მოდის ნამუშევრების გამოფენის გახსნა მიულოცეს საქართველოს საელჩოს სახელით საელჩოს მრჩეველმა მანანა დუმბაძემ და საქართველოს ელჩის პაატა კალანდაძის მეუღლემ თამარ კალანდაძემ.

საკვირაო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების გადაცემა მინსკში

4 თებერვალს, ქ. მინსკში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვალერი კვარაცხელია და საელჩოს კონსული დავით კურტანიძე ეწვივნენ მინსკში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლებს.

საკვირაო სკოლის პედაგოგებმა, ლელა ქანთარიამ და მზია აკობიამ საქართველოს ელჩს გააცნეს სასწავლო პროცესი.

ვალერი კვარაცხელიამ საკვირაო სკოლის მოსწავლეებს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები გადასცა.

დავით დონდუას შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან

4 თებერვალს, ავსტრიაში ქართველ სტუდენტთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დავით დონდუას შეხვედრა ავსტრიაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან.

შეხვედრის მიმდინარეობისას დავით დონდუა სტუდენტებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე ესაუბრა, ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებები, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებული მცოცავი ოკუპაცია, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და უსაფრთხოება რეგიონში.

შეხვედრის განმავლობაში ელჩმა ხაზი გაუსვა საქართველოს ევროპულ წარსულს, ევროპულ ფასეულობებსა და პრონციპებს, ევროპული ინტეგრაციის კუთხით მიღწეულ წარმატებებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის შეხვედრა ქალაქ ლინცში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან

6 თებერვალს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში დავით დონდუა ზემო ავსტრიის მიწაზე, ქალაქ ლინცში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრა საელჩოს ინიციატივით გაიმართა და მისი მიზანი ავსტრიაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების და ქართული დიასპორის წარმომადგენლების ინტერესებისა და პრობლემების გაცნობა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების განხილვა გახლდათ.

შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა ისაუბრა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებსა და საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ წარმატებებზე, აგრეთვე, ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესში დიასპორის ჩართულობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

შეხვედრაზე, ასევე, განხილულ იქნა ქ. ლინცში საკვირაო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და კონკრეტული ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ჯაზ მომღერლის კონცერტი საქართველოში

8 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ჯაზ მომღერლის, თეონა მოსიას კონცერტი გაიმართა.

მომღერალმა ქართველი აუდიტორიის წინაშე შეასრულა ჯაზის ცნობილი სტანდარტები, მის მიერ შექმნილი ქართული, მეგრული, ლაზური სიმღერები და ქართული ხალხური სიმღერები ჯაზური არანჟირებით.

თეონა მოსია 13 წელია ავსტრიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მის შემოქმედებაში დიდი ნაწილი ეთნო-ჯაზურ კომპოზიციებს ეთმობა.

მუსიკალური განათლება თეონა მოსიამ ავსტრიაში მიიღო. მან 2014 წელს დაამთავრა პრაინერის კონსერვატორიის ჯაზვოკალის ფაკულტეტი.

ბენდი, რომელთან ერთადაც თეონა მოსია საქართველოს ეწვია 2014 წელს შეიქმნა და მისი წევრები არიან: ვოკალისტი თეონა მოსია, პიანისტი - ნიკოლა სტანოშევიჩი, კონტრაბასი - ნავიდ ჯავადი, დრამერი - ანჯელიკო სტუპარი.

კიევში პიესა „შიოლა“ დაიდგა

8 თებერვალს, ქ. კიევის “სუზირის“ თეატრში, რეჟისორ ალექსი კოჟელნის მიერ დაიდგა უკრაინაში საქართველოს ელჩის გელა დუმბაძის პიესა „შიოლა“.

სპექტაკლს ესწრებოდნენ უკრაინაში აკრედიტებული ელჩები, უკრაინის ხელისუფლებისა და კულტურული წრეების, ასევე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ორიგინალურ წარმოდგენას ფონად ერთვოდა ქართული კულტურული ადათის და სახელოვან ქართველ მოღვაწეთა ამსახველი ვიდეო კადრები.

უკრაინულ ენაზე პიესის თარგმანი ეკუთვნის თათია ქათამაძეს.

სპექტაკლი „შიოლა“, რომელიც ჩასმულია თეატრის რეპერტუარში, „სუზირის“ სცენაზე წლის განმავლობაში კიდევ 20-ჯერ დაიდგმება.

გელა დუმბაძის პიესა არის ქართულ-გერმანული რადიოპიესის კონკურსის გამარჯვებული. დადგმულია საქართველოს რადიოს პირველი არხის მიერ 1996 წელს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა დიასპორასთან ვაშინგტონში

8 თებერვალს, ქ. ვაშინგტონში, აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა აშშ-ში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა დიასპორასთან დაკავშირებულ ინიციატივებზე, რეფორმების სამთავრობო პროგრამასა და საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მიღწევებზე.
დავით ზალკალიანმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესსა და ამ გზაზე მიღწეული წარმატებების თაობაზე. მინისტრმა დიასპორის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს მთავრობის ცალკეული ინიციატივები დიასპორასთან მიმართებაში, მათ შორის დიასპორული პროგრამების დაფინანსების ფონდის დაარსების ინიციატივა, რაც საშუალებას მისცემს მთავრობას, დააფინანსოს დიასპორის წარმომადგენლების ცალკეული პროექტები. ეს ხელს შეუწყობს ქართული დიასპორის გაძლიერებას, ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციას და დიასპორის წარმომადგენლებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.
მინისტრმა ვრცლად ისაუბრა დიასპორული ვებ-პორტალის პროექტზე, რომელიც საშუალებას მისცემს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს ერთი პლატფორმის საშუალებით მიიღონ შესაბამისი სახელმწიფო სერვისები და ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. საუბარი ასევე შეეხო საქართველო-ამერიკის სტრატეგიული თანამშრომლობისა და ურთიერთობის დღის წესრიგში არსებულ მიმდინარე საკითხებს. მინისტრმა ხაზი გაუსვა აშშ-ში საქართველოს იმიჯის პოპულარიზაციაში დიასპორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას. მან მადლობა გადაუხადა დიასპორის წარმომადგენლებს შეხვედრაში მონაწილეობისთვის და მათთან შემდგომი ინტენსიური კომუნიკაციის მზადყოფნა გამოთქვა.

შეხვედრა სლოვენიაში მცხოვრებ თანამემამულეებთან

8 თებერვალს, ლუბლიანაში, საქართველოს საელჩოში გაიმართა შეხვედრა სლოვენიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან. „სიმბოლურია, რომ დღევანდელი გაცნობითი შეხვედრა დაემთხვა დავით აღმაშენებლის ხსენებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღეს, ხოლო სლოვენიაში - „კულტურის დღეს“, რომელიც სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული“, განაცხადა ირაკლი კოპლატაძემ.
შეხვედრაზე განიხილეს საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა და მათი ჩართულობა საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

ქართული ეკლესიის კურთხევა დიუსელდორფში

10 თებერვალს, ქ. დიუსელდორფში, ქართული დიასპორის ორგანიზებით, მოეწყო დუსელდორფის ანთიმოზ ივერიელის სახელობის განახლებული ეკლესის კურთხევა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ღონისძიება და კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეება მიიღეს დიასპორის წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მმართველმა, მღვდელმთავარმა, ყოვლადუსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა ლაზარე სამადბეგიშვილმა, ბრიუსელის წმიდა თამარ მეფის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, ყოვლადუსამღვდელოესმა დოსითეოსმა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ელგუჯა ხოკრიშვილმა და საქართველოს გენერალურმა კონსულმა მაინის ფრანკფურტში იოსებ ჩხიკვიშვილმა.

ქ. საქარიაში მოქმედ ქართული ენის შემსწავლელ კურსს საკვირაო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები გადაეცა

10 თებერვალს, თურქეთში, საქართველოს ელჩი გიორგი ჯანჯღავა და სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსული ინგა კიკვაძე ქ. საქარიას ეწვივნენ. მათ საქარიას ქართველთა კულტურის ასოციაციას ქართული ენის შემსწავლელი კურსისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები გადასცეს.
სახელმძღვანელოების გადაცემის შემდეგ, ქართველი დიპლომატები გაესაუბრნენ ქართულ-ლაზური ენების შემსწავლელი კურსის პედაგოგსა და მოსწავლეებს. ამასთან, გაიმართა გაფართოებული შეხვედრა ადგილობრივ თანამემამულეებთან.
თავის მხრივ, ზემოაღნიშნული საზოგადოების ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს საელჩოსა და სტამბოლში საქართველოს გენერალურ საკონსულოს გამოჩენილი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის და გამოთქვა მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

ქ. სტამბოლში ქართული კათოლიკური სავანის დღე აღინიშნა

11 თებერვალს, ქ. სტამბოლში აღინიშნა ქართული კათოლიკური სავანის დღე. ღონისძიებას დაესწრო დელეგაცია საქართველოდან. ჩატარდა კათოლიკური წირვა, რომელიც საქართველოდან ამ დღისთვის საგანგებოდ მოწვეულმა ქართველმა კათოლიკე მღვდელმა მიხეილ სურმავამ აღასრულა. სტუმრებს შორის იყო პროფესორი ნუგზარ ბარდაველიძე, რომელმაც წაიკითხა მოხსენება სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანის შესახებ. მოხსენებაში მიმოხილულ იქნა სავანის ისტორიული წარსული, ხაზგასმით აღინიშნა მისი მნიშვნელობა საქართველოს წარსულისა და მომავლისთვის. მოხსენების შემდეგ, სტუმრებს საშუალება მიეცათ, დაესვათ კითხვები. მოხსენებას ესწრებოდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები. ქართველ კათოლიკეთა სავანე უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის. ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ზაზაძეების ოჯახს, რომელიც ვატიკანის სახელმწიფოსთან ერთად, წლების მანძილზე, ინარჩუნებს ამ ისტორიულ სიმდიდრეს. ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაცია, ხოლო პარტნიორობა და მასპინძლობა გაუწია კაფე „გალაკტიონმა“.

ირლანდიაში ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამო გაიმართა

11 თებერვალს, ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით თანამედროვე ქართველი მწერლის ზურაბ ქარუმიძის ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ირლანდიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ქართველ მწერალთან შეხვედრას დაესწრო 30-მდე ადამიანი. ღონისძიების დასაწყისში საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა სიტყვით მიმართა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა ზურაბ ქარუმიძეს დუბლინში ჩამოსვლისთვის.

ქართველ თანამემამულეებთან შეხვედრისას ზურაბ ქარუმიძემ მიმოიხილა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მთავარი მიმართულებები, ისაუბრა ახლახან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმრის მიერ წარმოდგენილი ლიტერატურული და კულტურული პროგრამის წარმატებაზე. მწერალმა ყურადღება გაამახვილა თავისი შემოქმედების ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებზე, გაიმართა დისკუსია.

საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა, თავის მხრივ, ხაზი გაუსვა ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ქართული წიგნების თარგმნის მნიშვნელობას, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალებში აქტიურად მონაწილეობის აუცილებლობას.

დიასპორის წარმომადგენლებმა მადლიერება გამოხატეს საელჩოსადმი ქართველ მწერალთან შეხვედრის შესაძლებლობისთვის. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ მსგავსი სალონური შეხვედრები ქართული კულტურის და ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად, ახლო მომავალში კიდევ ჩატარდეს.

ქ. ერევანში ლაგოდეხის ქორეოგრაფიული ანსამბლ „ჰერეთის“ კონცერტი გამართა

13 თებერვალს, ქ. ერევანში, მხითარ სებასტაცის სახელობის სასწავლო კომპლექსში გაიმართა ლაგოდეხის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ "ჰერეთის" კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გიორგი საგანელიძე, საელჩოს თანამშრომლები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართული დიასპორის შეხვედრა მოსკოვის ჰოსპისის პაციენტებთან

14 თებერვალს, ქ. მოსკოვში, ფედერალური ქართული ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ინიციატივით, პალიატიური დახმარების ცენტრ „ბუტოვო“-ში გაიმართა კონცერტი „სიყვარულით საქართველოდან“. მოსკოვში მოქმედმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა - “Geodance Studia”, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია გიორგი ქირია, ჰოსპისის პაციენტებს მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა წარუდგინა. შესრულდა ქართული, აჭარული და მთიულური ცეკვები. ახალგაზრდა მომღერალმა მარი შონიამ შეასრულა სიმღერები „თბილისო“, „არგო“ და „იქნება ზეიმი“. მოისმინეს ქართული ეროვნული კომპოზიციები ქრისტინე ფორჩხიძის შესრულებით.

მინისტრის შეხვედრა პოლონეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

14 თებერვალს, პოლონეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა პოლონეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. შეხვედრა პოლონეთში საქართველოს საელჩოში გაიმართა. მინისტრმა დიასპორის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია პოლონეთ-საქართველოს წარმატებული თანამშრომლობის შესახებ, რასაც ამყარებს ორი ქვეყნისა და ერის ისტორიული მეგობრობა.

მან ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის ურთიერთობების წარმატებაში ქართული დიასპორის დიდ როლს. შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ პოლონეთი გახლავთ საქართველოს მტკიცე მხარდამჭერი როგორც ორმხრივ, ასევე საერთაშორისო ფორმატებში. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველოს სამთავრობო პროგრამებსა და დაგეგმილ რეფორმებზე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მიზნებზე, მათ შორის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეულ წარმატებებსა და საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელშესახებ შედეგზე. ხაზი გაესვა დიასპორის განსაკუთრებულ როლს საქართველოს იმიჯისა და ცალკეულ სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარების საქმეში.

პოლონეთში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრაზე მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სახელმწიფოსთვის დიასპორასთან ურთიერთობის პრიორიტეტულობა და ღონისძიების მონაწილეებს გააცნო ის ინიციატივები, რასაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მთავრობასთან ერთად გეგმავს საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების გასაძლიერებლად და სამშობლოსთან მათი კავშირის განსამტკიცებლად. მათ შორის ისაუბრა საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროექტებზე, დიასპორული პროექტების დაფინანსების მექანიზმზე, დიასპორის წარმომადგენლებისთვის ერთიანი ვებ-პორტალის შექმნის ინიციატივაზე და სხვა. მინისტრმა ასევე ისაუბრა საქართველოს მთავრობის აქტიურ ძალისხმევაზე საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით. ამ კუთხით დადებითად შეფასდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად პოლონეთში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები.

დიასპორის წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრების პრაქტიკის მიმართ, რაც, მათი თქმით, საშუალებას აძლევს მხარეებს გააზიარონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ქართული კულტურის საღამო პარიზში

15 თებერვალს, ქ. პარიზში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი"-ს გამარჯვებული საფრანგეთის რესპუბლიკაში მერი უღრელიძის ორგანიზებით გაიმართა ქართული კულტურის საღამო. ღონისძიებას ესწრებოდა 150-მდე სტუმარი, მათ შორის ბევრი უცხოელი მეგობარი.
მერი უღრელიძემ თავის გამოსვლაში უცხოელ მეგობრებს გაუზიარა ინფორმაცია საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ. სტუმრებმა დააგემოვნეს ქართული კერძები, შესრულდა ქართული ტრადიციული ცეკვები, ფოლკლორი და თანამედროვე სიმღერები.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართული ცეკვის ანსამბლი „ლაზი", ფოლკლორული ანსამბლი „თამარიონი" და თანამედროვე სიმღერების შემსრულებელთა ჯგუფი „ლაზი".
საღამოს დასასრულს უცხოელ მეგობრებს ღონისძიების ორგანიზატორებმა დაუსვეს კითხვები საქართველოს შესახებ და გამარჯვებულებს საჩუქრად გადასცეს ქართული ღვინო.

სამეფო უბნის თეატრი ლიეჟის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე

15-18 თებერვალს, ქ. ლიეჟში, სამეფო უბნის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ლიეჟის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, სადაც სპექტაკლები ,,ტროელი ქალები" და ,,პრომეთე, დამოუკიდებლობის 25 წელი" წარმოადგინა. ფესტივალს წელს საქართველოსთან ერთად პორტუგალიის, ესპანეთის საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სერბეთის თეატრები ეწვივნენ.
წარმოდგენებს, რომლებმაც ანშლაგით ჩაიარა, უცხოელ სტუმრებთან ერთად, ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მაყურებელმა შემოქმედებითი ჯგუფი მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

„დავითობის“ დღესასწაულის აღნიშვნა როსტოვში

16 თებერვალს, ქ. როსტოვში, დონის როსტოვის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში, საზეიმო კონცერტით აღინიშნა წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. ღონისძიება 2003 წლიდან როსტოვის რეგიონული ქართული სათვისტომოს - ეროვნულ-კულტურული ავტონომია „ვარძია“-ს ინიციატივითა და ორგანიზებით იმართება.
„დავითობის“ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „კოლხიდა“,

„მეტეხი“ და „იმედი“, რომლებიც მაყურებლის წინაშე ქართული ცეკვებითა და სიმღერებით წარსდგნენ.
კონცერტი მისასალმებელი სიტყვით გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბესარიონ მესხმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე მიულოცა.
საზეიმო კონცერტს ესწრებოდნენ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ხელმძღვანელები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ლონდონში მოღვაწე ქართველი პიანისტის კონცერტი ბრიუსელში

16 თებერვალს, ევროპული ტურნეს ფარგლებში, ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების სასახლეში „BOZAR"-ში გაიმართა ლონდონში მოღვაწე ქართველი პიანისტის ლუკა ოქროსცვარიძის (Luka Okros) კონცერტი. ლუკა ოქროსცვარიძე არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, მართავს კონცერტებს მსოფლიოს დიდ საკონცერტო დარბაზებში.
„BOZAR"-ში მრავალრიცხოვან მაყურებელს, მათ შორის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ლუკა ოქროსცვარიძის შესრულებით შუბერტის, რახმანინოვის და ლისტის ნაწარმოებები.

ქართული ფოლკლორისა და პოეზიის საღამო შვედეთში

17 თებერვალს, ქ. სტოკჰოლმის თების მუნიციპალიტეტის ეკლესიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ეკა ზანდუკელმა და ემა გაგუამ შვედეთში წმინდა გიორგის სამრევლოს მღვდელმსახურის, მამა შიოს ხელშეწყობით ჩაატარეს ქართული ფოლკლორისა და პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ თათა ზანდუკელი, ანა ჭინჭარაული, ანა მალაზონია, მარი მელაძე და პოეტი თემურ არაბული. საღამოს უძღვებოდა ნინო ქაჩლიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები. საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. დასასრულს საქართველოს ელჩმა შვედეთის სამეფოში მალხაზ კაკაბაძემ სიტყვით მიმართა სტუმრებსა და მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებსა და საღამოს მონაწილეებს.

ქართული ღვინისადმი მიძღვნილი ღონისძიება ოტავაში

17 თებერვალს, ქ. ოტავაში, კანადაში საქართველოს საელჩომ, ხმელთაშუაზღვის სწავლებების კანადურ ინსტიტუტთან, კარლტონის უნივერსიტეტთან და ამერიკის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან თანამშრომლობით მოაწყო ქართული მეღვინეობის ისტორიისა და საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც გაიმართა ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის ცენტრის პროფესორის, საქართველოში კანადური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის სტივენ ბატიუკის ლექცია თემაზე „ვაზის წარმოშობის კვლევა: უძველესი მეღვინეობის ისტორია და არქეოლოგიური შესწავლა“.

შეხვედრას კანადელი მეცნიერები, არქეოლოგები, ოტავასა და კარლტონის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, ასევე, კანადაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ესწრებოდნენ. რამდენიმე მათგანი ტორონტოდან ოტავაში სპეციალურად ლექციაზე დასასწრებად ჩავიდა.

შეკრება ხმელთაშუაზღვის ინსტიტუტის პრეზიდენტმა ლუიზ ტერილონ-მაკკეიმ გახსნა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა კონსტანტინე ქავთარაძემ. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ მეღვინეობის ტრადიციისადმი მიძღვნილი ამგვარი ღონისძიებები სცილდება სამეცნიერო სფეროს, მათი მეშვეობით კანადის ფართო საზოგადოება უფრო მეტს იგებს საქართველოს, მისი ისტორიის, ტრადიციების შესახებ. ელჩმა მადლობა გადაუხადა სტივენ ბატიუკს კანადაში ქართული მეღვინეობის კულტურის პოპულარიზაციისთვის. მან აღნიშნა, რომ სტივენ ბატიუკი უკვე წლებია იკვლევს მეღვინეობის ისტორიას, იგი იყო იმ საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი, რომელმაც მეცნიერულად დაამტკიცა, რომ საქართველო კულტურული მეღვინეობის სამშობლოა.

პროფესორმა სტივენ ბატიუკმა წაიკითხა ლექცია, რომელშიც მიმოიხილა მეღვინეობისადმი მიძღვნილი უძველესი წყაროები. მან ისაუბრა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, ღვინის ბიო-მოლეკულურ კვლევებზე, რაც საშუალებას აძლევს მეცნიერებს დაამტკიცონ, რომ მეღვინეობის ისტორია ნეოლითური ხანიდან იწყება. მან აღწერა თუ როგორ გავრცელდა ღვინის კულტურა საქართველოდან ახლო აღმოსავლეთში და მთელს ხმელთაშუაზღვის რეგიონში, მოიყვანა ამის დამადასტურებელი ისტორიული და არქეოლოგიური მასალები.

ლექციის შემდეგ მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ საელჩოს მიერ მომზადებულ ფოტოგამოფენას „საქართველო - ღვინის აკვანი“ და დაეგემოვნებინათ ქართული ქვევრის ღვინო.

სომხეთის რესპუბლიკაში მოქმედ სათვისტომო „ივერიას“ საკვირაო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები გადაეცა

17 თებერვალს, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს კონსულმა სოზარ კვინჩიამ სათვისტომო „ივერიას“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები საზეიმო ვითარებაში გადასცა.

თავის მხრივ, სათვისტომოს ხელმძღვანელმა სვეტლანა ნამჩევაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს საელჩოს გამოჩენილი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის და მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

ქართული შემეცნებითი საღამო ესპანეთში

18 თებერვალს, ქ. მადრიდში, IE უნივერსიტეტში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებული ესპანეთის სამეფოში თამარ არველაძის და ქართველი სტუდენტების ორგანიზებით, ქვეყნის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა ღონისძიება “აღმოაჩინე საქართველო”. ღონისძიება აერთიანებდა სხვადასხვა სახის ინფორმაციულ გამოფენასა და შემეცნებით აქტივობებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტებისა და რეგიონების, ასევე სხვადასხვა საუკუნის ქართული ეროვნული კოსტუმების ფოტოები და ვიდეოები. გამოფენა მოიცავდა ქართული უნიკალური ანბანის სამი სახეობის ექსპოზიციას, მნიშვნელოვანი ფაქტების კუთხეს და საჭირო ინსტრუქციას პოტენციური ტურისტებისთვის.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გასართობ-შემეცნებითი აქტივობები: კონკურსი - “დაწერე საკუთარი სახელი ქართულად” და ონლაინ თამაში - „Kahoot“. ონლაინ თამაში მოიცავდა ღონისძიებისთვის სპეციალურად შექმნილ კითხვარს საქართველოს შესახებ; მონაწილეთა მიზანი მოკლე დროში რაც შეიძლება ბევრი კითხვისთვის პასუხის სწორად გაცემა იყო. კონკურსის ყველა მონაწილეს საქართველოს შესახებ „National Geographic“-ის სპეციალური გამოცემის ჟურნალი გადაეცა, ხუთ გამარჯვებულს კი ქართული ღვინო და ქართულ-ესპანური ლექსიკონი.

სალომე ზურაბიშვილის შეხვედრა საფრანგეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან

19 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთში ქართველ ემიგრანტებს შეხვდა.

სამუშაო ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მამის ინიციატივით აშენებული ტაძარი მოინახულა და შვილებთან ერთად წირვას დაესწრო. ამის შემდეგ იგი ლევილში გაემგზავრა, სადაც მშობლების საფლავი ყვავილებით შეამკო და მამულში ლევილის შატო მოინახულა. სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთში სამუშაო ვიზიტის პირველი დღე სტუდენტებთან და ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრით დაასრულა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრისას აღნიშნა, არ შეიძლება, საქართველომ დაივიწყოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არის ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მისი თქმით, თითოეული ემიგრანტი თავისი ქვეყნის ელჩია.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის გამარტივებაზე.

სალომე ზურაბიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია მუშაობს, რათა მოიძებნოს ფორმა, რომ დიასპორას ჰყავდეს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

ქართველი ხელოვანის საღამო სინგაპურში

20 თებერვალს, ქ. სინგაპურში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სინგაპურში ირაკლი ასაშვილმა მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკში მოღვაწე ქართველი ხელოვანის ლევან სონღულაშვილის გამოფენის, მულტიმედიური პროექტის „STOICHEÎON" გახსნაში, რომელიც გაიმართა სინგაპურის Objectifs Chapel Gallery-ში.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ სინგაპურის კულტურის, ხელოვნების წრეების და სინგაპურში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ექსპოზიცია განხორციელდა სინგაპურის კინოსა და ფოტოგრაფიის ცენტრის Objectifs, სინგაპურის სახელოვნებო ორგანიზაცია „Instinc"-ის პროექტის „ხელოვანთა რეზიდენციის" და ქართული ორგანიზაცია „გალერეა ერთის" პარტნიორობით. პროექტის ფარგლებში ქართველი ხელოვანი 2 თვის განმავლობაში ცხოვრობდა სინგაპურის ხელოვანთა რეზიდენციაში, და სწორედ ამ პერიოდში, აზიური კულტურის ინსპირაციით შექმნა გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები. აღნიშნული პროექტით სინგაპურში გაეცნობიან საქართველოსა და ქართულ კულტურას.

დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩის შეხვედრა გაიმართა ქართველ მოსწავლეებთან

20 თებერვალს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ დიდი ბრიტანეთის სამეფოში გამარჯვებული სოფო ქევხიშვილის ინიციატივით, გაიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თამარ ბერუჩაშვილის შეხვედრა „საქართველოს ბანკის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ლონდონში ვიზიტად მყოფ მოსწავლეებთან - მარიამ ქოჩაშვილთან, გიორგი სეხნიაძესთან და შაკო სვიანაძესთან.

ლონდონში, Wimbledon School of English-ში ინგლისური ენის შესწავლასთან ერთად, ქართველმა ბავშვებმა ტურისტული ღირსშესანიშნაობებიც დაათვალიერეს. საქართველოს საელჩოში გამართულ შეხვედრაზე პროექტის მონაწილეებმა საქართველოს ელჩს და ახალგაზრდა ელჩს თავიანთი საინტერესო ისტორიები უამბეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა ახალგაზრდებს სამახსოვრო სუვენირები გადასცა, მათ შორის, ჟურნალი „დიპლომატი“ თავისი ავტოგრაფით. რომელიც ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებს ეხება.

ავსტრიაში ქართული საღამო გაიმართა

21 თებერვალს, ქ, ვენაში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ გამარჯვებული კანდიდატის მარიამ თაყნიაშვილის ორგანიზებით, ქართული საღამო გაიმართა. ღონისძიებას 100-მდე სტუმარი ესწრებოდა. მარიამ თაყნიაშვილმა ავსტრიელებს და საღამოს სხვა სტუმრებს გააცნო საქართველოს ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ქართული მუსიკა, ანბანი და იუნესკოს მიერ დაცული ისტორიული ძეგლები. პრეზენტაციის დასასრულს სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები, ავსტრიაში წარმოდგენილი კომპანიის - ,,Gvino''-ს წარმოებული ქართული ღვინოები და ქართული ლიმონათის სხვადასხვა სახეობები.

საღამო გაალამაზა ავსტრიაში მოღვაწე მომღერალმა ია ღვინიაშვილმა, რომელმაც ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა.

კულტურული ღონისძიება ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოში

22 თებერვალს, ქ. ნიუ-იორკში, საქართველოს გენერალურმა საკონსულომ უმასპინძლა ორი ქართველი ხელოვანის, მომღერალ ნუცი ნებიერიძისა და მხატვარ ბელა რომელაშვილის ერთობლივ ღონისძიებას სახელწოდებით - "The Connections".

ბელა რომელაშვილი ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მხატვარია, ხოლო ნუცი ნებიერიძეს კარგად იცნობს ქ. ნიუ-იორკის ქართული და უცხოელი საზოგადობა.

ღონისძიების მონაწილეებს შესაძლებლობა ქონდათ დაეთვალიერებინათ ბელა რომელაშვილის ნამუშევრები და მოესმინათ ქართული სიმღერები ნუცი ნებიერიძის შესრულებით.

მოწვეულ სტუმრებთან ერთად ღონისძიებას ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

იერუსალიმის მარიამ ღვთისმშობლის და მაცხოვრის ტაძრებში წირვა ქართულ ენაზე აღევლინა

22 თებერვალს, ქ. იერუსალიმში, მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-სა და იერუსალიმის ბერძნულ მართმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის თეოფილე მესამეს ლოცვა კურთხევით, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის ცენტრის თავმჯდომარემ, მეუფე დანიელმა ქართულ ენაზე აღავლინა წირვა.

23 თებერვალს, ისრაელში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, დასწრებოდნენ მეუფე დანიელის მიერ იერუსალიმის მაცხოვრის ტაძარში აღვლენილ თანაწირვას ქართულ ენაზე.

პირდაპირი ჩართვა კვიპროსელ თანამემამულეებთან

22 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ ნინუა კვიპროსში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს „სკაიპის" საშუალებით ესაუბრა.

მინისტრის მოადგილემ განაცხადა: „ამგვარი პირადი კომუნიკაცია აუცილებელია და ყველა ფორმატი უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებამდე კარგად იქნას მიტანილი ყველა ის სიკეთე და პროექტი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს სთავაზობს".

დიასპორის წარმომადგენლებთან საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მინისტრის მოადგილემ კვიპროსში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა მათთვის საინტერესო საკითხებზე, მათ შორის, მოქალაქეობის, საზღვარგარეთ ლეგალური ცხოვრებისა და დასაქმების, განათლების თემებზე.

სტუდენტების შეხვედრა საქართველოს ელჩთან ჩეხეთში

22 თებერვალს, ქ. პრაღაში, პროექტ „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი"-ს გამარჯვებული კანდიდატის ჩეხეთის რესპუბლიკაში დემეტრე რუხაძის და საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება, სადაც სტუდენტები შეხვდნენ საქართველოს სრულუფლებიან ელჩს ჩეხეთის რესპუბლიკაში მარიამ რაქვიაშვილს. შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ მათი აკადემიური პროფილი და სამომავლო მიზნები. ღონისძიებაზე ასევე განიხილეს საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდი და მისი შედეგები.

საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა მათ გააცნო საელჩოს მისია და მიესალმა ყველა სტუდენტურ ინიციატივას. საღამო წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ქ. თელ-ავივში ორგანიზაცია „მამულის" დაარსების ერთი წლის იუბილე აღინიშნა

22 თებერვალს, ქ. თელ-ავივში, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი რატი ბრეგაძე დაესწრო პირველი ქართული დიასპორული ორგანიზაცია „მამულის" დაარსების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები დიასპორის წარმომდგენლებთან. რატი ბრეგაძე ეწვია ქართულ საკვირაო სკოლას ქ. ლოდში და დაესწრო სასწავლო პროცესს.

საქართველოს საელჩოში ისრაელში მცხოვრებ თანამემამულეებთან გამართულ შეხვედრაზე, ორგანიზაცია „მამულის" ხელმძღვანელმა ირაკლი კილაძემ წარმოადგინა საანგარიშო მოხსენება.

მან ისაუბრა განხორციელებული პროექტებისა და წარმატებული ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, მან ყურადღება გაამახვილა ისრაელში ქართული დიასპორის ყველაზე პრობლემურ საკითხებზე, თუმცა განსაკუთრებული აქცენტი მაინც მის მთავარ საზრუნავზე, ქართულ საკვირაო სკოლაზე გააკეთა, რომელსაც შემდგომი ფუნქციური თუ მეთოდოლოგიური განვითარებისათვის მუდმივი მხარდაჭერა სჭირდება. ირაკლი კილაძემ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმატებული პოლიტიკა და ძალისხმევა უცხოეთში ქართული საკვირაო სკოლების ტექნიკური მოწყობისა თუ სასწავლო-მეთოდოლოგიური კუთხით მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე რატი ბრეგაძემ დეტალურად ისაუბრა უცხოეთში ქართულ დიასპორებთან ურთიერთობების სფეროში საქართველოს

მთავრობის მიმდინარე პოლიტიკის, აქტივობებისა და ამ კუთხით არსებული სამართლებრივი ბაზის შესახებ. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა - ორგანიზატორთა და მონაწილეთა შორის ხანგრძლივი დიალოგი და დისკუსია შედგა. ქართველ ემიგრანტთა და ქართველ ებრაელთა თემის წარმომადგენელთა მხრიდან რამდენიმე საინტერესო იდეა და წინადადება იქნა შემოთავაზებული არსებული პრობლემების გადასაჭრელად და ისრაელში საქართველოს კულტურისა და მეცნიერების ღირსეულ დონეზე წარმოჩენად. „გამოწვევები ბევრია, თუმცა გადაჭრილი პრობლემები ოპტიმიზმის და სიხარულის საფუძველს გვაძლევს," - განაცხადა რატი ბრეგაძემ და მადლიერება გამოთქვა მეგობარი ისრაელის სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც მრავალ ქართველს გულთბილად გაუღო კარი და გვერდით უდგას.

შეხვედრა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებთან ქ. ლოდში

23 თებერვალს, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი რატი ბრეგაძე ქ. ლოდში, საქართველოს საპატრიარქოს „ქართულ სახლში", ისრაელის სახელმწიფოში პირველ ქართულ საკვირაო სკოლა „მამულს" ეწვია. გაიმართა დიალოგი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელსა და სკოლის მესვეურებს (სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მშობელთა კომიტეტის წევრები) შორის. საუბარი შეეხო მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებს, ასევე, საკვირაო სკოლის სამომავლო პოლიტიკის განვითარებისათვის საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის რეალურ და სასურველ შესაძლებლობებს, კერძოდ, გამოიკვეთა დახმარების საჭიროება მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების ამუშავების, მასწავლებელთა გამოცდილებისა და პროფესიული უნარების ამაღლების, სკოლის მდგრადი განვითარების, ემიგრანტ მშობელთა ცნობიერების ამაღლების და სხვა კუთხით.

საკვირაო სკოლაში, ამჟამად, 30 ბავშვი ირიცხება. მათ შორის, არიან ქართული ენის შესწავლის მსურველი ქართველი-ებრაელი მოსწავლეებიც. „მამულში" სწავლობენ ქართულ ენას, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას, ქართულ სიმღერას, ხატვას. მომავალი წლისათვის სკოლაში ჩარიცხვის მსურველიც ბევრი გამოჩნდა.

ქ. სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში მსოფლიო ენების დღე აღინიშნა

23 თებერვალს, ქ. სტამბოლში, შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში მსოფლიო ენების დღე აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში „ქართული კულტურის ცენტრის“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ამჟამად „ქართული ენის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ეშრეფ ილმაზმა (მახარაძემ) წაიკითხა მოხსენება მსოფლიო ენებისა და დედა ენის მნიშვნელობის შესახებ.

ასევე, შედგა მისი წიგნის „ილიას კვალზე“ წარდგენა და განხილვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართველი ემიგრანტები და დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები.



წიგნის პრეზენტაცია თესალონიკში

23 თებერვალს, ქ. თესალონიკში, გაიმართა ახალგაზრდა ქართველი მწერლის მიხალისი ირემაძის წიგნის - "გოლგოთის გზა" პრეზენტაცია. წიგნში მხატვრულადაა ასახული მთავარი გმირების დაუღალავი ბრძოლა და შრომა, რათა ქვეყანა სწორ პროგრესულ გზაზე დააყენონ.

„ჩვენი წარმატებული შვილები“ ქ. თესალონიკში

23 თებერვალს, ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ეგიდითა და თესალონიკში მოქმედი ქართული საზოგადოების „კერიას“ ორგანიზებით, კულტურულ ცენტრში „ვაფოპულიო,“ გაიმართა საღამო სახელწოდებით „ჩვენი წარმატებული შვილები.“

„კერიის“ ხელმძღვანელებმა ნანა ჩხაიძემ და მარინა ავაზაშვილმა დამსწრე პირებს გააცნეს საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნები, მოხდა ლოგოსა და სპეციალურად ორგანიზაციისათვის დაწერილი სიმღერის პრეზენტაცია.

ღონისძიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო თესალონიკში მცხოვრები ახალგაზრდების წარმოჩენას, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს სპორტის სხვადასხვა სახეობებსა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. წარმოდგენილ იქნა მათ შესახებ, საზოგადოების მიერ შექმნილი ვიდეო–რგოლები.

საღამოს უძღვებოდნენ პატარა წამყვანები 9 წლის ანუკი თურქაძე და 11 წლის ალექსანრე ღელაღუტაშვილი. ღონისძიებას, რომელიც მუსიკალურად გააფორმა საქართველოდან მოწვეულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა – „ხეურო,“ ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები და თესალონიკის ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ხარკოვის საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში

23-24 თებერვალს, ქ. ხარკოვში, ჩატარდა საერთაშორისო ღია ჩემპიონატი კარატეში - “Kharkiv Open, 2019”. უკრაინის პრემიერ ლიგაში მონაწილეობას იღებდა, შვიდი ქვეყნის 1100 სპორტსმენი, მათ შორის საქართველოდან გრიგოლ დარჩიაშვილის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ჩემპიონატის ორგანიზატორი იყო ხარკოვის რეგიონის მთავარი მწვრთნელი, მრავალგზის საქართველოს, მსოფლიო და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი რუდიკ სარგუნოვი. იგი თბილისში ცხოვრობდა და ვარჯიშობდა ცნობილ, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან გრიგოლ დარჩიაშვილთან, კლუბში „გრიგალი“. ამჟამად კი ქ. ხარკოვის კარატე კლუბის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელია. მის კლუბში ბევრი წარმატებული უკრაინელი, უცხოელი და ქართველი სპორტსმენი ვარჯიშობს. იგი კვლავაც თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ კარატეს ფედერაციასთან და მის პრეზიდენტ კახა ბასილიასთან. ხშირად ჩამოჰყავს სემინარებზე ქართველი ინსტრუქტორები, რომლებიც თავის გამოცდილებას უზიარებენ უკრაინელ სპორტსმენებს.

ხარკოვის ჩემპიონატზე აშშ-დან ჩამოვიდნენ ცნობილი ქართველი კარატისტები ანტონი ჯღამაძე და კაპიტონ ჯანაშია, რომელიც ნიუ იორკში ხელმძღვანელობს კარატე კლუბს „ოქროს საწმისი” – “Golden Fleece“.

„მე ვხატავ ფიროსმანს“ კვიპროსზე

24 თებერვალს, კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მოწვევით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახურის თანამშრომლებმა კვიპროსში ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის შემეცნებით-სახალისო გაკვეთილები - „მე ვხატავ ფიროსმანს“ და „ძველი ქართული კედლის მხატვრობა“ ჩაატარეს.

საკვირაო სკოლის აღსაზრდელები გაეცნენ ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას, ასევე, მოისმინეს ძველი ქართული კედლის მხატვრობის მოკლე ისტორია. მოგვიანებით კი სქემატური ნახატების მეშვეობით, ფიროსმანის ცნობილი პერსონაჟები და სხვადასხვა მოხატულობის ფრაგმენტები გააცოცხლეს.

საგანმანათლებლო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს საელჩოს და საკვირაო სკოლას საჩუქრად სააგენტოს მიერ გამოცემული წიგნები გადასცეს.

ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის დაარსების 10 წლის იუბილე

25 თებერვალს, ქ. ტორონტოში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის დაარსების 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები გაიმართა.

ტორონტოს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მეუფე საბამ (ინწკირველი) სადღესასწაულო მღვდელთმსახურება აღავლინა. მოგვიანებით გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტორონტოს ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებულმა ანსამბლმა „ივერიონმა“, ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრის ანსამბლმა „ფესვებმა", ნიუ ჯერსის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იბერიელებმა", ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლებმა შალვა და გაბრიელ მახარაშვილებმა, უჩა აბულაძემ, დიანა ირემაშვილმა და გუნდმა “ალილომ".

ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც კანადაში, ისე ნიუ იორკში, ნიუ ჯერსში, პენსილვანიაში, მერილენდსა და ილინოისში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები.

ვიტენის ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება „კოლხის“ ხელმძღვანელი ფონდ „მომავლის გზას“ ესტუმრა საქართველოში

25 თებერვალს, ქ. ვიტენში მოქმედი ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება „კოლხის“ ხელმძღვანელი ნანა შანავა საქართველოში ფონდ „მომავლის გზას“ ესტუმრა. საზოგადოება წლებია თანამშრომლობს ფონდთან და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. საზოგადოებას რამდენჯერმე აქვს ჰუმანიტარული დახმარება გაწეული ფონდის ბენეფიციარი ოჯახებისათვის. ნანა შანავა, საქართველოში ჩამოსვლისას ადგილზე ეცნობა ფონდის პროექტებს. ამჯერად, საზოგადოების ხელმძღვანელი ფონდს გერმანელ სტუმართან, ირგი ბადინგთან ერთად

ეწვია, რომელიც გერმანიაში ბავშვთა სოციალური მიმართულებით მუშაობს. ბატონი ირგი დეტალურად გაეცნო ფონდის საქმიანობას და დაინტერესდა იმ მიმდინარე პროექტებით, რომელსაც ფონდი „მომავლის გზა“ ახორციელებს.

სტუმრებმა ფონდს აცნობეს, რომ მზად არიან ფონდის რამდენიმე ბავშვი მიიწვიონ გერმანიაში ორკვირიანი პროგრამის ფარგლებში, სადაც მათ ცირკის დახელოვნების ტრენინგებს ჩაუტარებენ და გააცნობენ გერმანულ კულტურას.

ღონისძიებები ოდესაში

26 თებერვალს, ქ. ოდესაში, საქართველოს სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა უკრაინაში გელა დუმბაძემ და ოდესაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა შეხვედრა გამართეს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

გელა დუმბაძე და თორნიკე ბერეკაშვილი ეწვივნენ ქ. ოდესაში წმინდა თამარ მეფის სახელობის ახლად აშენებულ ტაძარს, დაათვალიერეს მიმდებარე შენობა, სადაც ახლო მომავალში განთავსდება ოდესის ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი „ივერია“ და მასთან არსებული საკვირაო სკოლა „ანა-ბანა“.

საქართველოს ელჩმა, მადლობა გადაუხადა ოდესაში ქართული დიასპორის წარმომადგენლეს ოლეგ ქუთათელაძეს მისი აქტიური საქმიანობისთვის და დააჯილდოვა ის საელჩოს მადლობის სიგელით.

27 თებერვალს, ქ. ოდესაში, საქართველოს საკონსულოს შენობაში, უკრაინაში საქართველოს ელჩმა გელა დუმბაძემ შეხვედრა გამართა ქართული საკვირაო სკოლის და ქართული ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელებთან. შეხვედრის დროს განიხილეს ქ. ოდესაში ქართული დიასპორის წინაშე არსებული პრობლემატიკა, მათ შორის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელმა აკაკი იაკობიშვილმა გამოხატა დიდი საჭიროება ანსამბლის წევრების საცეკვაო ფორმებით აღჭურვის საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრის ფარგლებში, ელჩმა თანმიმდევრული და აკადემიური საქმიანობისთვის საელჩოს სიგელები გადასცა ოდესაში საქართველოს კონსულს თორნიკე ბერეკაშვილს, ოდესის ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის - „ივერია" ხელმძღვანელს შორენა გეგეშიძეს, ზემოხსენებულ ცენტრთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის „ანა-ბანა" ხელმძღვანელს მეგი ლაშხიას, ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის „საქართველო" ხელმძღვანელსა და ქორეოგრაფს აკაკი იაკობიშვილს.

თამარა თუმანოვას 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება ვაშინგტონში



27 თებერვალს, ქ. ვაშინგტონში, საქართველოს საელჩოში გაიმართა მე-20 საუკუნის მსოფლიო ბალეტის გამორჩეული მოცეკვავის, თამარა თუმანოვას (თუმანიშვილი) 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის “A Life on the Points” ჩვენება, რომლის ავტორმა, რადიო „ამერიკის ხმის" ყოფილმა ჟურნალისტმა ნანა ღონღაძემ, წლების მანძილზე დაგროვილი მასალა წარუდგინა შეკრებილ საზოგადოებას.

ამერიკული და რუსული ბალეტის ქართველი ვარსკვლავისადმი მიძღვნილი ფილმის პრეზენტაცია, საქართველოს საელჩომ ალექსანდრე ქართველის პროგრამის ფარგლებში გამართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი აუდიტორიისთვის საქართველოსა და აშშ-ის შორის საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობების ისტორიის გაცნობა.

ღონისძიებას დაესწრო ნიუ-იორკიდან საგანგებოდ ჩამოსული ჯორჯ ბალანჩინის ფონდის დირექტორი, ყოფილი ქორეოგრაფი-მოცეკვავე ნენსი რეინოლდსი.

საერთაშორისო გამოფენა ტაშკენტში

27 თებერვალს, ქ. ტაშკენტში გაიხსნა XX საიუბილეო საერთაშორისო გამოფენა „მშენებლობა - "UzBuild Tashkent 2019", რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბერძნეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ, ბიზნესმენმა გურამ კუნჭულიამ. იგი წარმოადგენდა მსოფლიოში ცნობილ კომპანია „FHI KIRIAKIDIS"-ს. აღნიშნული კომპანია ცენტრალური აზიის ქვეყნებში აშენებულ არაერთი მნიშვნელოვანი კულტურული და სამთავრობო ობიექტების მოპირკეთებაში მონაწილეობდა. გურამ კუნჭულიას მიერ ორგანიზებული ექსპოზიცია დაათვალიერეს უზბეკეთში საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა.

შეხვედრა ქ. ბარიში არსებულ დიასპორული ორგანიზაციების და საკვირაო სკოლების ხელმძღვანელებთან

27-28 თებერვალს, ქ. ბარიში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩი იტალიაში კონსტანტინე სურგულაძე, კონსული თამთა რჩეულიშვილი, უფროსი მრჩეველი სოფო ქარცივაძე და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნათია სულავა საკვირაო სკოლებს ეწვივნენ.

27 თებერვალს შეხვედრა გაიმართა ბარიში არსებულ ქართულ-იტალიურ ასოციაცია „ფესვებთან", საპატიო საკონსულოსთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. სტუმრების საპატივსაცემოდ, სკოლასთან არსებული ქორეორგაფიული სტუდია „ფესვების" აღსაზრდელებმა ქართული ეროვნული ცეკვები შეასრულეს. 28 თებერვალს, საქართველოს ელჩი ეწვია ბარის საკვირაო სკოლას "აისი", რომელშიც 48 თანამემამულე მოსწავლე ირიცხება. საკვირაო სკოლებს პროგრამა „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის" ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები გადაეცათ.

28 თებერვალს, გაიმართა საქართველოს ელჩის კოტე სურგულაძის, კონსულის თამთა რჩეულიშვილის, უფროსი მრჩევლის სოფო ქარცივაძისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ნათია სულავას შეხვედრა ქ. ბარიში არსებულ დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრის დროს განხილულ იქნა ასოციაციიების წინაშე მდგარი პრობლემური საკითხები, მათი გადაჭრის შესაძლო გზები და საელჩოს მხრიდან მხარდაჭერის შესაძლებლობები. საუბარი შეეხო, ასევე, ასოციაციების მხრიდან კლუტურული და საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზებას და საელჩოს ჩართულობას.

დღის ბოლოს საქართველოს ელჩი წმ. ნიკოლოზის ბაზილიკაში პარაკლისს დაესწრო, რომელიც არქიმანდრიტმა მოსე ჭანკვეტაძემ გადაიხადა. პარაკლისის შემდეგ ელჩი გაესაუბრა, ბარის წმ. ნიკოლოზის სახელობის ქართული სამრევლოს წარმომადგენლებს და არქიმანდრიტ მოსე ჭანკვეტაძეს.

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი აზერბაიჯანში

27-28 თებერვალს შედგა საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. გაიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრები პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში. ოფიციალური შეხვედრების დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საელჩოში შეხვდა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და აზერბაიჯანში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს. საქართველოს

პრეზიდენტი დაინტერესდა თანამემამულეთა საქმიანობით, მათი მიღწევებით საქართველოს ფარგლებს გარეთ. მან აღნიშნა, რომ ქართული სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა მხარდაჭერა, რომ ისინი მუდმივად გრძნობდნენ მშობლიურ სითბოს. ამიტომ, მისი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველა ვიზიტის პროგრამაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია დიასპორასთან შეხვედრებს.

მან ასევე აღნიშნა, რომ თანამემამულეებთან აქტიური დიალოგის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საელჩოების საქმიანობა, რათა ყოველდღიურ რეჟიმში არსებობდეს მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან.

28 თებერვალს, პრეზიდენტი კახის მუნიციპალიტეტს ეწვია.

სალომე ზურაბიშვილი დელეგაციასთან ერთად აზერბაიჯანში, კახის რაიონის სოფელ კახინგილოს საშუალო სკოლას ესტუმრა და კახის წმინდა გიორგი ეკლესია მოინახულა.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გაესაუბრა, კახის წმინდა გიორგის ეკლესიაში. იგი შეხვდა მრევლს, წარმოშობით ქართველ აზერბაიჯანის მოქალაქეებს და მათი პრობლემები მოისმინა. ადგილობრივები საქართველოს პრეზიდენტისაგან აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან შუამდგომლობას ითხოვენ, რათა მოხდეს ძველი ისტორიული ეკლესიების შეკეთება და ამოქმედება.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კახის მუნიციპალიტეტში შეხვედრისას ოფიციალური ვიზიტის შესახებ ისაუბრა და ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის გულითადი მოკითხვა გადასცა. სალომე ზურაბიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან გულთბილი დახვედრა, საქართველო - აზერბაიჯანის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები კახის ადგილობრივ მოსახლეობაზეც აისახება.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ატარებენ ქვეყნის იდენტობას, ენასა და კულტურას, რაც ძალიან ბევრის მთქმელია.

თებერვლის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო